**<u>შეთანხმება №220-1</u>**

**(საფუძველი: დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტის ლეილა გოგუაძის 2016 წლის 22 სექტემბრის N281 მოხსენებითი ბარათი)**

**ქ. ბათუმი** **26 სექტემბერი 2016 წელი**

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მამია ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ლევან ჭყონია ლეკო სტუდიო ს/კ 61001035146 (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვთანხმდებით მასზედ, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 20 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N220 ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად შევიდეს ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში.

1. ხელშეკრულების 5.3. მუხლის „გ“ ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და მომსახურების მიწოდების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 30 ნოემბერი.
2. ხელშეკრულების N3 დანართში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება - ფოტომომსახურების თემატიკას დაემატოს დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული აქტივობები; ფოტოების რაოდენობა გადანაწილდეს შემდეგნაირად: მეღვინეობა - 3 ფოტო, დაცული ტერიტორიები - 2 ფოტო. ფოტომომსახურების პერიოდად განისაზღვროს ოქტომბერი-ნოემბერი და აღნიშნული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.
3. ხელშეკრულების სხვა დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.
4. შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**„შემსყიდველი“** **„მიმწოდებელი“**

**მამია ბერძენიშვილი** **ლევან ჭყონია ლეკო სტუდიო**

______________________ ______________________

ᲐᲰᲐᲠᲘᲡ Ა.Რ. ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ
GEORGIA LOWER INSTITUTION OF GOVERNMENT A.R. OF ADJARA DEPARTMENT OF TOURISM AND RESORTS
245427809

2016 წლის 26 სექტემბრის #220-1 შეთანხმების დანართი #3

სარეკლამო კამპანიის მიზნით ფოტო - მომსახურება
პერიოდი: ოქტომბერი-ნოემბერი

| | თემატიკა | | ფოტოს ტიპი | ფოტოების რაოდენობა | სიუჟეტის რაოდენობა | გრძივი | განივი | ერთეულის ფასი(ლარი) | ფასი ჯამში(ლარი) | თვე | ლოკაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეღვინეობა | ღვინო (ვენახი, რთველი, მარანი) | დადგმული | 3 | 3 | 1 | 2 | 400.0 | 1200.00 | ოქტომბერი-ნოემბერი | აჭარა (ქედის და ხულოს/ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები) |
| 2 | დაცული ტერიტორიები | ტურისტული აქტივობები | დადგმული | 2 | 2 | 1 | 1 | 400.0 | 800.00 | ოქტომბერი-ნოემბერი | მაჭახელას ეროვნული პარკი, სოფელი მირვეთი (ახალი ტურისტული მარშრუტი) |
| | | | | 5 | | 2 | 3 | | 2000.00 | | |

| | | |
|---|---|---|
| შემსყიდველი | | მიმწოდებელი |